1976/2

პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 7 (426)

1976 წლის ივლისი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

უწყებები

№ 7 (426) ივლისი 1976 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

განყოფილება პირველი

117. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების „პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ“ შესასრულებლად რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ამოცანების თაობაზე“.

118. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის № 44, გარდაბნის რაიონის ქესალოს № 74, ყვარლის რაიონის ყვარელის № 190 და ქალაქ ქუთაისის თბილისის № 232 საარჩევნო ოლქებში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნების დღის შესახებ

119. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

120. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ა. პაატაშვილის საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის მინისტრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.

121. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. გ. ვაშაძის საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის მინისტრად დანიშვნის შესახებ.

122. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ა. დუჩიძის საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.

123. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. ჯ. უბილავას საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრად დანიშვნის შესახებ.

124. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. გ. კოდუას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველოს უფროსის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

125. ამხ. ა. ი. ბუაძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველოს უფროსად დანიშვნის შესახებ.

126. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. დ. ჟორჟიკაშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.

127. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. რ. ვ. ბასარიას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსად დანიშვნის შესახებ.

განყოფილება მეორე

128. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა შედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

129. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

130. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. ი. თაველიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში
საინფორმაციო ცნობები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

117 „პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ამოცანების თაობაზე

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ“ უმნიშვნელოვანესი საპროგრამო, პარტიულ-პოლიტიკური დოკუმენტია, რომელშიც ღრმად, მეცნიერულ საფუძველზე არის გაანალიზებული უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული სამეურნეო და სხვა ორგანოთა და ორგანიზაციების საქმიანობაში მომხდარი დადებითი ცვლილებები, მკაფიოდაა ჩამოყალიბებული საქართველოს მშრომელთა წინაშე დასახული პირველი რიგის და პერსპექტიული ამოცანები, დაყენებული პრინციპული დებულებები, რომლებიც სკკპ XXV ყრილობის დასკვნებსა და მითითებებს კონკრეტულს ხდის და განავითარებს.

დადგენილება რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული ცხოვრებისადმი ჩვენი პარტიის ცენტრალური ლენინური კომიტეტის მუდმივი ყურადღებისა და მზრუნველობის კიდევ ერთი მკაფიო დადასტურებაა.

ანიჭებს რა აღნიშნული დადგენილების განუხრელად შესრულებას არსებით სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას და სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში მოცემული დებულებებისა და დასკვნების წარმატებით სარეალიზაციოდ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების, მათი აღმასკომების, მუდმივი კომისიების, ყველა დეპუტატის, თვითმოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საბჭოთა აქტივის და მთელი მოსახლეობის ფართოდ ჩაბმის მიზნით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაევალოს რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო, რაიონული, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომებს:

— აამაღლონ ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის დონე. შეიმუშაონ კომპლექსურ ღონისძიებათა გეგმები სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლად და მიიღონ ქმედითი ზომები, რომლებიც უზრუნველყოფენ მათ უთუო განხორციელებას. გამუდმებით სრულყონ საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა და მჭიდროდ დაუკავშირონ იგი სკკპ XXV ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის და ზემოაღნიშნული დადგენილებით დასახული სამეურნეო-ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული ამოცანების გადაჭრას. ამასთან, მრეწველობისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, წარმოებული პროდუქციის

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაოდენობის გადიდებისა და ხარისხის ძირეულად გაუმჯობესების მიზნით განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ყველა რეზერვისა და შესაძლებლობათა გამოვლენას, მობილიზაციას და სრულად გამოყენებას, მშრომელთა საჭიროებისა და მოთხოვნების მაქსიმალურად დაკმაყოფილების და მათი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საკითხებს.

— განახორციელონ კონკრეტული ზომები სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების ფართო პროპაგანდისა და ღრმად შესწავლისათვის; დადგენილების შესახებ იმსჯელონ სოფლის ყრილობებზე, მშრომელთა კოლექტივების საერთო კრებებსა და საცხოვრებელი ადგილების მიხედვით მოქალაქეთა კრებებზე, რათა თითოეული მშრომელისათვის ნათელი გახდეს ამ პარტიული დოკუმენტის უდიდესი მნიშვნელობა და მაღალი აქტიურობა. პროპაგანდისტულ-განმარტებით მუშაობაში უფრო სრულად გამოიყენონ ყველა რგოლის საბჭოების დეპუტატების, მუდმივი კომისიების, მოსახლეობის თვითმოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციების, თვალსაჩინო აგიტაციის, ზეპირი პროპაგანდის მასობრივი ინფორმაციის ორგანოების, კულტურის სახლების, კლუბების, ბიბლიოთეკების, წითელი კუთხეების შესაძლებლობანი.

— უზრუნველყონ საბჭოთა ორგანოების საქმიანობაში დემოკრატიული პრინციპების შემდგომი განვითარება, მასებთან მათი კავშირის გაფართოება და განმტკიცება; მშრომელების ფართო მიზიდვა საბჭოების მუშაობაში აქტიური და უშუალო მონაწილეობისათვის.

— მიიღონ ქმედითი ზომები მმართველობის აპარატისადმი მომთხოვნელობის ასამაღლებლად აღმასრულებელ და განმკარგულებელ ორგანოებში მუშაობის ლენინური, პარტიული სტილის დასანერგავად. რომელიც ითვალისწინებს წამოჭრილი პრობლემებისადმი მეცნიერულ მიდგომას, მაღალ მომთხოვნელობას, შემსრულებლობით დისციპლინას, საკუთარი გადაწყვეტილებებისა და განკარგულებების, სადირექტივო ორგანოების დადგენილებების ცხოვრებაში მტკიცედ და განუხრელად გატარებას, კონტროლის და შესრულების შემოწმების ზუსტ ორგანიზაციას, გამრჯელობას, ინიციატივას, ნაკლოვანებების, თვითკმაყოფილების, ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის ყოველგვარი გამოვლინებისადმი სრულ შეურიგებლობას.

— განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მუშაობის სრულყოფას კადრების შერჩევის, განაწილების და აღზრდისათვის. დავალებულ საქმეზე მათ მიმართ მომთხოვნელობის გაძლიერებას. მმართველობითი აპარატის თითოეული მუშაკის პერსონალური პასუხისმგებლობის ამაღლებას თავისი შრომის ხარისხსა და შედეგზე. ყველგან მოაწყონ საბჭოთა ორგანოების მუშაკების, დეპუტატების, აქტივის გეგმაზომიერი სწავლება გულდასმით გააზრებული თემატიკის მიხედვით, რომელშიც აისახება სკკპ XXV ყრილობის მიერ მოცემული უმნიშვნელოვანესი დებულებები და დასკვნები, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების წინაშე X ხუთწლედში ყრილობის მიერ და საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით დასახული ამოცანები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მიაღწიონ მუშაობის გაუმჯობესებას მშრომელთა წერილების, განცხადებების და საჩივრების განსახილველად და მოქალაქეთა პირადი მიღების უკეთ ორგანიზებას, ამ მნიშვნელოვანი საქმისადმი გამოიჩინონ განსაკუთრებული გულისხმიერება და ყურადღება, ძირეულად აღკვეთონ მშრომელთა საჭიროებისადმი და მოთხოვნებისადმი კანცელარიულ-ბიუროკრატიული დამოკიდებულება, გულმოდგინედ გააანალიზონ შემოსული კორესპოდენცია, აღმოფხვრან საჩივრების წარმომშობი მიზეზები და პირობები; უფრო ფართოდ გამოიყენონ საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა, მშრომელთა წერილების, განცხადებების, საჩივრებისა და წინადადებების განხილვის მდგომარეობაზე კონტროლის მინიჭებული უფლებები, უფრო ფართოდ ჩააბან ამ მუშაობაში დეპუტატები, მუდმივი კომისიები, საბჭოთა აქტივი.

— უზრუნველყონ საზოგადოებრივი წესრიგის და სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცება, მოქმედი კანონმდებლობის მკაცრი დაცვა ყველა დაწესებულების, სამეურნეო და საზოგადოებრივი ორგანიზაციის, თანამდებობის პირთა და მოქალაქეების მიერ; ფართო პროპაგანდა გაუწიონ სამართლებრივ ცოდნას შრომით კოლექტივებში და მოქალაქეთა საცხოვრებელი ადგილების მიხედვით, გააძლიერონ ბრძოლა მართლწესრიგის ყოველგვარ დარღვევათა და ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებათა წინააღმდეგ, განსაკუთრებით გაამახვილონ ყურადღება მათ თავიდან აცილებასა და პროფილაქტიკაზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები, დეპუტატები, მრავალათასიანი საბჭოთა აქტივი, რესპუბლიკის ყველა მშრომელი მთელ თავიანთ ძალას, ცოდნასა და ენერგიას მოახმარენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განხორციელებას — „პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ“ რომელიც ახალი მძლავრი სტიმული გახდა მათ ბრძოლაში სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1976 წლის 9 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

118 ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის № 44, გარდაბნის რაიონის ქესალოს № 74, ყვარლის რაიონის ყვარლის № 190 და ქალაქ ჭუთაისის თბილისის № 232 საარჩევნო ოლქებში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნების დღის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 99-ე მუხლის შესაბამისად ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის № 44, გარდაბნის რაიონის ქესალოს № 74, ყვარლის რაიონის ყვარლის № 190 და ქალაქ ჭუთაისის თბილისის № 232 საარჩევნო ოლქებში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნები დაინიშნოს კვირას, 1976 წლის 12 სექტემბერს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1976 წლის 29 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

119 საქართველოს სსრ ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

ცნობილ იქნეს ძალადაკარგულად:

1. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1924 წლის 11 აპრილის № 81 დადგენილება „ნოტარიატის რეორგანიზაციის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1924 წ., № 1, მუხ. 12).

2. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წლის 28 იანვრის დადგენილება „პურის გამოცხობისა, შენახვისა, გადაზიდვისა და გაყიდვის წესების დარღვევისათვის ადმინისტრაციული გადასახდელთა დაწესების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ., № 5, მუხ. 67).

3. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წლის 16 სექტემბრის დადგენილება „სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე კურორტთა სამმართველოს კუთვნილ სახლებში საცხოვრებელი სადგომების გაქირავების საფუძვლების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1935 წ., № 28, მუხ. 172).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1976 წლის 24 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

120 ამხ. ვ. ა. პაატაშვილის საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის მინისტრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გათავისუფლდეს ამხ. ვახტანგ ალექსანდრეს ძე **პაატაშვილი** საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის მინისტრის მოვალეობისაგან პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი **საბ**ჭ**ოს** პ**ر**ეზ**ي**დ**ي**უ**م**ის თ**ا**ვ**م**ჯ**د**ომ**ا**რ**ه** პ. **გ**ილ**ا**შ**ვ**ილ**ي**.

საქართველოს სსრ უ**م**აღ**ل**ესი **ص**ا**ب**ჭ**ოس** პ**ر**ეზ**ي**د**ي**უ**م**ის **م**د**ي**ვ**ا**ნ**ي** **ت**. **ل**ا**შ**ქ**ا**რ**ا**შ**ვ**ილ**ي**.

თბილისი. 1976 წლის 2 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

121 ამხ. ნ. გ. ვაშაძის საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. ნოდარ გრიგოლის ძე **ვაშაძე** საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის მინისტრად.

საქართველოს სსრ უ**م**აღ**ل**ესი **ص**ا**ب**ჭ**ოس** پ**ر**ეზ**ي**د**ي**უ**م**ის **ت**ا**ვ**م**ج**د**ومارە پ. **گ**ی**ل**ا**ش**ی**ل**ی.

საქართველოს სსრ უ**م**აღ**ل**ესი **ص**ا**ب**ჭ**ოس** پ**ر**ეზ**ي**د**ي**უ**م**ის **م**د**ي**ვ**ا**ن**ي** **ت**. **ل**ا**შ**ქ**ا**რ**ا**შ**ვ**ილ**ي**.

თბილისი. 1976 წლის 2 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

122 ამხ. გ. ა. დუჩიძის საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გათავისუფლდეს ამხ. გივი ალექსანდრეს ძე **დუჩიძე** საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უ**م**აღ**ل**ესი **ص**ا**ب**ჭ**ოس** پ**ر**ეზ**ي**د**ي**უ**م**ის **ت**ا**ვ**م**ج**د**ومارە پ. **گ**ی**ل**ا**ش**ی**ل**ی.

საქართველოს სსრ უ**م**აღ**ل**ესი **ص**ا**ب**ჭ**ოس** پ**ر**ეზ**ي**د**ي**უ**م**ის **م**د**ي**ვ**ا**ن**ي** **ت**. **ل**ا**შ**ქ**ا**რ**ا**შ**ვ**ილ**ي**.

თბილისი, 1976 წლის 7 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

123 ამხ. ი. ჯ. უბილავას საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. იუზა ჯახოს ძე **უბილავა** საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1976 წლის 7 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

124 ამხ. მ. გ. კოდუას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველოს უფროსის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გათავისუფლდეს მიხეილ გალაქტიონის ძე **კოდუა** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველოს უფროსის მოვალეობისაგან მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელობაში დაშვებული სერიოზული შეცდომებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1976 წლის 9 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

125 ამხ. ა. ი. ბუაძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველოს უფროსად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. ალექსანდრე ილიას ძე **ბუაძე** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველოს უფროსად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1976 წლის 9 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

126 ამხ. გ. დ. ჟორჟიკაშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გათავისუფლდეს ამხ. გრიგოლ დავითის ძე **ჟორჟიკაშვილი** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსის მოვალეობისაგან პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1976 წლის 24 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

127 ამხ. რ. ვ. ბასარიას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. რევაზ ვლადიმერის ძე **ბასარია** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1976 წლის 24 ივლისი.

განკოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

128 მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

ხანძრის დროს მამაცობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდნენ მედლით **„ხანძარზე მამაცობისათვის“:**

1. ვიქტორ ივანეს ძე **კოსტინი** — ზუგდიდის სახერხი ქარხნის მუშა.
2. ვლადიმერ ივანეს ძე **კოსტინი** — წალენჯიხის სახერხი ქარხნის მუშა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1976 წლის 24 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

129 წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საკოლმეურნეო მშენებლობის დარგში თვალსაჩინო შედეგებისათვის, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ზრდის, პირუტყვის პროდუქტიულობის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისა და დამზადების გადიდების მაღალი სტაბილური ტემპებისათვის კოლმეურნეობის არსებობის მთელ პერიოდსა და მეცხრე ხუთწლედში **წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1976 წლის 9 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

130 ამხ. მ. ი. თაველიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და კომკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის საგარეჯოს რაიონული კომიტეტის პარტკაბინეტის გამგე ამხ. მარიამ იოსების ასული **თაველიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1976 წლის 12 ივლისი.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა თავის 1976 წლის 24 ივლისის სხდომაზე მოისმინა ბოლნისისა და ვანის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეების ამხ. ამხ. მ. ალიევის და ი. დვალიშვილის ინფორმაციები ამ რაიონებში დასახლებული **პუნქტებისა** და **გზების** კეთილმოწყობის **შესახებ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღინიშნა, რომ მართალია ბოლნისისა და ვანის რაიონების მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები გარკვეულ მუშაობას ატარებენ დასახლებული პუნქტების განაშენიანების, ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობა-რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობისათვის, მაგრამ ამ საქმეში ჯერ კიდევ არის ბევრი ნაკლი.

რაიონის განაშენიანების გენერალური გეგმები არა აქვთ არც ბოლნისის და არც ვანის რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს. ამის გამო ახალმშენებლობანი სოფლებში მიმდინარეობს უსისტემოდ, ინდივიდუალური ბინათმშენებლობის კანონებისა და წესების აშკარა დარღვევით.

საერთოდ რესპუბლიკაში ჯეროვნად არ არის ორგანიზებული საზოგადოებრივი და სოციალურ-კულტურული დანიშნულების ნაგებობათა ტიპობრივი პროექტების შედგენის, სოფლის მშენებლობათა საჭიროებისათვის ახალი, უფრო ეკონომიური მასალებისა და კონსტრუქციების გამოყენების საქმე. ამიტომაც, გვხვდება არქიტექტურულად უგემოვნოდ და უყაირათოდ ნაგები შენობები. მაგალითად, ბოლნისის რაიონის აკაურთის სასოფლო საბჭოს აღმასკომის ადმინისტრაციული სახლი. არის შემთხვევები, როცა მშენებლობები სოფლად მთლიანად და დროულად არ არის უზრუნველყოფილი დაფინანსებით, სამშენებლო მასალებით და მექანიზმებით, მშენებლობის გაჭიანურება იწვევს მის გაძვირებას. ხუთ წელზე მეტია მიმდინარეობს სოფელ ბოლნისის კულტურის სახლის მშენებლობა და თუ საჭირო ზომები არ იქნა მიღებული ალბათ იგი წელსაც არ დამთავრდება. ვანის რაიონის ზეინდრის სასოფლო კლუბის მშენებლობა 1968 წელს დაიწყო, მაგრამ ჯერ მხოლოდ პირველი სართულის კედლებია ამოყვანილი და ისინიც უკვე საგრძნობლად დაზიანდა. ასევე, 1972 წლიდან შენდება ხიდი სოფელ გორაში, მაგრამ ჯერჯერობით მისი სახარჯთაღრიცხვო ღირებულების მხოლოდ 17,1 პროცენტია ათვისებული და ა. შ.

არის შემთხვევები, როცა წარმოება-დაწესებულებები, ორგანიზაციები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები კეთილმოწყობის სამუშაოებში ყოველთვის რაციონალურად ვერ იყენებენ სახელმწიფო დაბანდებებს, საკუთარ რესურსებსა და ადგილობრივ სამშენებლო მასალებს. ეს საკითხები ადგილობრივი საბჭოების მსჯელობის იშვიათი საგანია.

საწარმოო-საგზაო ბრიგადები შექმნილია ბოლნისის რაიონის მხოლოდ 5 საბჭოთა მეურნეობაში, ვანის რაიონის 12 კოლმეურნეობიდან კი — 6 კოლმეურნეობაში.

ქალაქისა და დაბების ქუჩების, სოფლების შიდაგზების უმრავლესობა ძალზე ცუდ მდგომარეობაშია. იმის გამო, რომ ადგილობრივი საბჭოები არ უწევენ სათანადო კონტროლს, ხშირად უხარისხოდ წარმოებს სოფლების კეთილმოწყობისა და საგზაო სამუშაოები. დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობისათვის აღმასკომები იშვიათად იყენებენ მცირე არქიტექტურულ ფორმებს, დაპროექტების და სამუშაოთა წარმოების დროს არ ითვალისწინებენ ადგილობრივ ლანდშაფტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჭირო ლიმიტების უქონლობის გამო ძალზე ნელი ტემპით ითვისებენ თვითდაბეგვრის თანხებს კეთილმოწყობისა და საგზაო სამუშაოებისათვის.

დღეისათვის ვანის რაიონში რადიოფიცირებული არ არის 12 სოფელი, ხოლო ბოლნისის რაიონში — 20.

როგორც ბოლნისის, ისე ვანის რაიონების ადგილობრივი საბჭოების შესაბამისი მუდმივი კომისიები, დეპუტატები და აქტივი ჯერ კიდევ ნაკლებად მონაწილეობენ დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობასა და ადგილობრივი გზების მშენებლობაში, იშვიათად იხილავენ ამ საკითხებს, კონტროლს არ აწესებენ სესიებისა და აღმასკომების სხდომებზე მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებაზე, ამ საქმიანობაში ნაკლებად აბამენ კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობის მუშებს, სოფლის ახალგაზრდობასა და ინტელიგენციას. სათანადოდ არ ზრუნავენ, რათა ყოველი დასახლებული პუნქტი იყოს კეთილმოწყობილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აგრეთვე აღნიშნავს, რომ არ შესრულდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 25 ნოემბრის დადგენილების მოთხოვნები ქალაქებისა და რაიონების განაშენიანების პროექტით უზრუნველყოფისა და მათი განაშენიანების გენერალური გეგმების დამტკიცების შესახებ. ამასთან რესპუბლიკის საავტომობილო გზების, საბინაო-კომუნალური მეურნეობის, სასოფლო მშენებლობის სამინისტროები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი სათანადო მეთოდურ, ტექნიკურ და მატერიალურ დახმარებას არ უწევენ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს. ადგილობრივი საბჭოები არ იყენებენ კანონით მინიჭებულ უფლებას დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობისათვის კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწრმოების, დაწესებულებებისა და სხვა ორგანიზაციებისათვის გამოყოფილი თანხების გაერთიანების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა ბოლნისისა და ვანის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

არსებითად გააუმჯობესონ ქალაქის, დაბების და სოფლების განაშენიანების, გამწვანების, კეთილმოწყობისა და ადგილობრივი გზების მშენებლობის საქმე. ეს საკითხი გახადონ სესიებისა და აღმასკომების სხდომების რეგულარული შესწავლისა და განხილვის საგანი. სისტემატური კონტროლი დააწესონ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებაზე;

უზრუნველყონ მშენებლობისათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთების რაციონალურად გამოყენება და მეტი ყურადღება დაუთმონ დაბებისა და სოფლების განაშენიანების წესების ზუსტ დაცვას.

შემოქმედებითად გადაჭრან **მცირე არქიტექტურული** ფორმების — კიოსკების, პავილიონების, სტენდების, ვიტრინების, შუქრეკლამების, დეკორატიული ღობეების, ლამპიონებისა და სხვ. გამოყენების საკითხი, შეუხამონ ისინი სხვა ადგილობრივ ნაგებობებსა და ბუნებრივ გარემოს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკაცრი კონტროლი დააწესონ საცხოვრებელი სახლების, სოციალურ-კულტურული, კომუნალური და საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის სამუშაოებზე, არ დაუშვან პროექტებიდან გადახრის ფაქტები;

საჭირო ტექნიკური დახმარება გაუწიონ საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს კომუნალური მეურნეობის განვითარებაში, აბანო-სამრეცხაოების და წყალსადენების მშენებლობაში, სოფლების საზოგადოებრივი ცენტრებისა და მასობრივი დასვენების ადგილების შექმნაში. კონტროლი დააწესონ კეთილმოწყობისათვის გამოყოფილი სახსრების ათვისებისა და დანიშნულებისამებრ გამოყენებაზე.

მეტი ყურადღება მიაქციონ დასახლებულ პუნქტებში სანიტარიული ნორმების დაცვას;

მიაღწიონ იმას, რომ კეთილმოწყობის სამუშაოებსა და გზების მშენებლობაში მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული ადგილობრივი სამშენებლო მასალები და შრომითი რესურსები;

მიიღონ ზომები, რათა ყველა კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სამეურნეო ორგანიზაცია დროულად და განუხრელად ასრულებდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ამ საქმეში ფართოდ ჩააბან საბჭოების შესაბამისი მუდმივი კომისიები;

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ გზების, ნიაღვარგამტარების და სხვა საგზაო ნაგებობათა მოვლა-პატრონობას, გზების გასწვრივ მწვანე ნარგავების გაშენებას, ამ მიზნით გამოყოფილი მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებათა დანიშნულებისამებრ გამოყენებას;

მიაღწიონ იმას, რომ კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, წარმოება-დაწესებულებები და ორგანიზაციები ადგილობრივი გზების სამშენებლო და სარემონტო სამუშაოებში მონაწილეობდნენ გაერთიანებული სახსრებითა და საშუალებებით;

სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა და საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად ფართოდ გაშალონ სასოფლო საბჭოებს შორის სოციალისტური შეჯიბრება დასახლებული პუნქტებისა და გზების კეთილმოწყობისათვის. მიაღწიონ იმას, რომ ამ საქმეში უშუალოდ მონაწილეობდნენ საბჭოების დეპუტატები, მუდმივი კომისიები, აქტივი, კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობის მუშები, სოფლის ახალგაზრდობა და ინტელიგენცია.

საქართველოს სსრ საავტომობილო გზების, საბინაო-კომუნალური მეურნეობის, სასოფლო მშენებლობის სამინისტროებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს რეკომენდაცია მიეცა საჭირო მეთოდური, მატერიალური და ტექნიკური დახმარება აღმოუჩინონ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს ქალაქებისა და რაიონების განაშენიანების პროექტების შედგენასა და

№ 7
ეროვნული
ბიბლიოთეკა

მათ განხორციელებაში, სამშენებლო ტექნიკით, შესაბამისი მასალებით და სათანადო საპროექტო დოკუმენტაციით უზრუნველყოფაში.

რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს დაევალა დასახონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი დასახლებული პუნქტებისა და ადგილობრივი გზების კეთილმოწყობის საქმის გაუმჯობესებისათვის.

*

* *

ამავე სხდომაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოისმინა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის ამხ. ა. ა. შუშანაშვილის მოხსენება რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის მდგომარეობის შესახებ. აღინიშნა, რომ სამინისტროები და უწყებები სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად უკანასკნელი წლების მანძილზე უფრო ქმედითად იყენებენ სამართლებრივ საშუალებებს სოციალისტური კანონიერების დარღვევათა თავიდან აცილების, სახელმწიფო, საგეგმო, სახელშეკრულებო და შრომითი დისციპლინის განმტკიცების, სოციალისტური საკუთრების დაცვის უზრუნველყოფისათვის, საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციების და მოქალაქეების კანონიერი ინტერესების დასაცავად.

ამასთან, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობა ჯერ კიდევ არ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს.

დღემდე არ არის შექმნილი იურიდიული განყოფილებები საავტომობილო გზების, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის, ხე-ტყის და ხისდამმუშავებელი მრეწველობის, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის, საშენ მასალათა მრეწველობის, განათლების და კავშირგაბმულობის სამინისტროებში.

ანალოგიური მდგომარეობაა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თითქმის ყველა სახელმწიფო კომიტეტსა და მთავარ სამმართველოში.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში არ არის იურიდიული სამსახური. იურისკონსულტის შტატი არის მხოლოდ რესპუბლიკის 22 რაიაღმასკომში. მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებმა არ შეასრულეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 15 თებერვლის დადგენილება „იმ თანამდებობათა ნომენკლატურის გაფართოების შესახებ, რომლებიც უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე სპეციალისტებს უნდა ეკავოთ“.

სამართლებრივი მუშაობის მდგომარეობაზე უარყოფითად მოქმედებს ის, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე არ ხდება იმ სტუდენტთა სპეციალიზაცია, რომლებმაც შემდგომში უნდა იმუშაონ სახალხო მეურნეობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეურნეო ორგანიზაციებმა ვერ უზრუნველყვეს საზოგადოებრივი იურიდიული კონსულტაციების ქსელის გაფართოება საწარმოებში, მშენებლობებზე, საბჭოთა მეურნეობებსა და დაწესებულებებში.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ გამოსაცემად მოამზადა რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობის 12 ტომი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა დღემდე ვერ უზრუნველყო მისი გამოცემა.

სამართლებრივი მუშაობის დაბალი დონე და სამართლებრივი სამსახურის ძნიშვნელობის სათანადოდ შეუფასებლობა ხელს უწყობს სახელმწიფო ქონების გაფლანგვას, დატაცებას.

უხარისხო და არასტანდარტული პროდუქციის გამოშვებასთან ბრძოლაში ნაკლებად იყენებენ სამართლებრივ საშუალებებს.

შეინიშნება სამეურნეო დავის გადაწყვეტის წესების დარღვევის, უსაფუძვლო და უდავო სარჩელების სახელმწიფო არბიტრაჟში წარდგენის შემთხვევები.

სამმართველო აპარატისა და პროფკავშირული აქტივის მუშაკების სამართლებრივი ცოდნის დაბალი დონის გამო, განსაკუთრებით შრომის კანონმდებლობის დარგში, ხშირია უკანონო გადაწყვეტილების გამოტანის და შრომითი კონფლიქტების შემთხვევები.

სამრეწველო საწარმოებში, მშენებლობაზე, ტრანსპორტსა და სოფლის მეურნეობაში აღინიშნება მუშებისა და მოსამსახურეების ხელფასიდან უკანონოდ დაქვითვების, საწარმოთა წლიური მუშაობის შედეგებისათვის პრემიებისა და ფულადი ჯილდოების დაუსაბუთებლად დაკავების ფაქტები.

აღნიშნული ნაკლოვანებანი მნიშვნელოვანწილად იმითაც არის განპირობებული, რომ სამინისტროების, უწყებების, ორგანიზაციების, საწარმოებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელები საჭირო ყურადღებას არ უთმობენ სამართლებრივ მუშაობას, ჯეროვნად არ აფასებენ სამართლებრივი საშუალებების შესაძლებლობებს.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფს სამართლებრივი მუშაობის სათანადო მეთოდურ ხელმძღვანელობას სახალხო მეურნეობაში, არ ისწრაფვის საწარმოებისა და დაწესებულებების სამეურნეო საქმიანობაში იურიდიული სამსახურის როლის ამაღლებისაკენ, არ სწავლობს და არ განაზოგადებს სამართლებრივი მუშაობის პრაქტიკას, არ იძლევა შესაბამის რეკომენდაციებს მის გასაუმჯობესებლად. იუსტიციის ორგანოები ყოველთვის არ უწევენ საჭირო სამართლებრივ დახმარებას ამხანაგურ სასამართლოებს, ნებაყოფლობით სახალხო რაზმეულებსა და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

პრესა, ტელევიზია და რადიო სუსტად აშუქებს სამართლებრივი მუშაობის საკითხებს.

რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოები ჯერ კიდევ ვერ ახორციელებენ საჭირო საპროკურორო ზედამხედველობას მოქმედი კანონმდებლობის შესრუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებაზე. ყოველთვის არ აყენებენ საკითხებს მშრომელთა დეპუტატების ონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მიერ მიღებული უკანონო გადაწყვეტილებებისა და დადგენილებების, აგრეთვე სამინისტროების, უწყებების, საწარმოებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელთა მიერ გამოცემული უკანონო ბრძანებების გაუქმების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნა საავტომობილო გზების, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის, ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის, საშენ მასალათა მრეწველობის, განათლებისა და კავშირგაბმულობის სამინისტროების, აგრეთვე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ყველა სახელმწიფო კომიტეტის და მთავარი სამმართველოს სუსტი მუშაობა საქვეუწყებო საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების სათანადო იურიდიული მომსახურებით უზრუნველყოფისა და კვალიფიციური მუშაკებით იურიდიული ქვედანაყოფების განმტკიცების შესახებ დირექტიული ორგანოების მოთხოვნათა შესრულების საქმეში და დააკავალა მათ მიიღონ ზომები ცენტრალურ აპარატებში იურიდიული განყოფილებების ან ბიუროების შექმნისა და საქვეუწყებო სტრუქტურულ ქვედანაყოფებში იურისკონსულტთა საშტატო თანამდებობების შემოღებისათვის.

პრეზიდიუმის დადგენილებით მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა უზრუნველყონ „იმ თანამდებობათა ნომენკლატურის გაფართოების შესახებ, რომლებიც უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე სპეციალისტებს უნდა ეკავოთ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 15 თებერვლის დადგენილების მოთხოვნათა შესრულება; სისტემატურად შეისწავლონ და განიხილონ სამართლებრივი მუშაობის მდგომარეობის საკითხები სახალხო მეურნეობის ობიექტებზე; განახორციელონ სათანადო ზომები აღმასკომების მუშაკების სამართლებრივი ცოდნის დონის ასამაღლებლად; უზრუნველყონ, რომ აღმასკომების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და დადგენილებები შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობას.

სამინისტროებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტებს და მთავარ სამმართველოებს, უწყებებს და მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს დაევალა:

— უზრუნველყონ იურიდიული სამსახურის მუშაკების სისტემატური მონაწილეობა იმ ღონისძიებათა შემუშავებასა და განხორციელებაში, რომლებიც ხელს უწყობენ სახელმწიფო, საგეგმო და შრომითი დისციპლინის დაცვას, უხარისხო და არასტანდარტული პროდუქციის გამოშვებასთან ბრძოლას; გააძლიერონ კონტროლი იურისკონსულტთა მუშაობაზე.

— აამაღლონ სამართლებრივი საშუალებების როლი სამეურნეო ხელშეკრულებების უზრუნველყოფაში; სახელშეკრულებო დისციპლინის დაჭრილვევთა მიმართ უფრო ქმედითად გამოიყენონ ეკონომიკური სანქციები.

— დატაცებასთან, დანაკლისებთან, მატერიალური ფასეულობის გაფუჭებასთან, უყაირათობასთან ბრძოლაში უფრო ეფექტიანად გამოიყენონ სამარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თლებრივი საშუალებები; ამასთან, დამხმარეები მისცენ პასუხისგებაში ყველა-ნი ღწიონ მათ მიერ მიყენებული ზარალის ანაზღაურებას.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ უნდა გააუმჯობესოს სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის მეთოდური ხელმძღვანელობა, შეისწავლოს მისი მდგომარეობა და ეფექტიანობა, განახორციელოს კონკრეტული ღონისძიებანი იურიდიული მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად; გააქტიუროს იურიდიული სამსახურების საქმიანობა დატაცების, უყაირათობის, უხარისხო და არასტანდარტული პროდუქციის გამოშვების, შრომითი კანონმდებლობის დარღვევათა თავიდან ასაცილებლად; დააჩქაროს საქართველოს სსრ კანონთა კრებულისა და სხვა ნორმატიული აქტების ხელახალი გამოცემა. რესპუბლიკის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად გააძლიეროს მუშაობა სამეურნეო კანონმდებლობის სრულყოფისათვის.

„საქართველოს სსრ სამეურნეო კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 7 ოქტომბრის დადგენილების შესასრულებლად გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა 1976—1980 წლებში განახორციელოს საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობის კრებულის საჭირო ტირაჟით გამოცემა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა სახელმწიფო არბიტრაჟმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს საგეგმო და სახელშეკრულებო დისციპლინის განმტკიცებას, ხელშეკრულებათა სწორად დადებას და სამეურნეო დავის მოწესრიგებას; უფრო ეფექტურად გამოიყენოს ქონებრივი სანქციები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შეიმუშაოს და განახორციელოს ღონისძიებანი იურიდიული კადრებით სახალხო მეურნეობისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მოთხოვნათა უზრუნველსაყოფად.

გაზეთების და ჟურნალების რედაქციებმა, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა, საზოგადოება „ცოდნამ" გააქტიურონ სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდა, უფრო ფართოდ გააშუქონ სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის საკითხები.

რესპუბლიკის პროკურატურამ და საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა გააძლიერონ კონტროლი და ზედამხედველობა სამინისტროების, უწყებების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სამეურნეო საქმიანობაზე.

საინფორმაციო ცნობები

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 7
ეროვნული
ბიბლიოთეკა

დიუმის 1976 წლის 24 ივლისის ბრძანებულებით **„სახელოვანი დედის“** ორდენებითა და **„დედობის მედლით“** დაჯილდოვდა 176 მრავალშვილიანი დედა:

ქ. თბილისში		17
ქ. ქუთაისში		7
ახალქალაქის	რაიონში	12
ბოგდანოვკის	„	4
ბოლნისის	„	37
გურჯაანის	„	1
კასპის	„	5
მცხეთის	„	7
საგარეჯოს	„	26
საჩხერის	„	9
ქარელის	„	12
ცხაკაიას	„	2
ჩოხატაურის	„	9
ჩხოროწყუს	„	5
წალკის	„	12
ხაშურის	„	5

*

* *

სსრ კავშირის 1974 წლის 18 იანვრის ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1976 წლის 24 ივლისის ბრძანებულებით **„შრომის ვეტერანის“** მედლით დაჯილდოვდა 328 კაცი:

ქ. თბილისის კალინინის	რაიონში	99
კიროვის	„	12
ქ. ქუთაისში		42
ქ. ზუგდიდში		52
ბოგდანოვკის	რაიონში	14
გორის	„	67
დუშეთის	„	4
ზუგდიდის	„	4
ქარელის	„	8
ორჯონიკიძის	„	18
სამტრედიის	„	8